სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 8 23 0000980272

09/08/2023

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბრძანება

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
2023-2024 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 02 აგვისტოს №14 ოქმის N2 საოქმო დადგენილების და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე თათულიშვილის სამსახურებრივი ბარათის (09/08/2023; N979945) საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წელი (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს:

- **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი**

სახით:

ა) I სემესტრი დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 23 თებერვალს;
ბ) II სემესტრი დაიწყოს 2024 წლის 11 მარტს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;

გ) სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 27 სექტემბერს და დასრულდეს 2023 წლის 6 ოქტომბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე.

სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2024 წლის 22 იანვარს და დასრულდეს 2024 წლის 3 თებერვალს;
ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 2 თებერვლიდან 2023 წლის 13 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2024 წლის 25 ივნისიდან და დასრულდეს 2024 წლის 5ივლისს;
ბ)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 4 ივლისიდან 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2024 წლის 26 თებერვლიდან და დასრულდეს **2024** წლის 10 მარტს

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. 2023-2024 სასწავლო წელი დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;
4.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
5.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა